ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1338533

ნომერი: AR1226800

თარიღი : 06.06.2014

გაცემის თარიღი : 19.06.2014

გაცნობის თარიღი : 01.07.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსტავას I გასასვლელი , N1(ნაკვ.10/37) ; ქალაქი თბილისი , ქ. თბილისი, მ.კოსტავას I შესახვევი N1.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ქოჩიაშვილი პ/ნ 01022001326
- თემქა

ორგანიზაცია:
- შპს ჯიდიგრუპი კოდი: 401978598

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "GD Group"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401978598
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაზა ქოჩიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01022001326

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #1212003
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 10.04.2014

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში, კოსტავას I გას. N1/კოსტავას I შეს. N1–ში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხი განმეორებით უნდა იქნეს წარმოდგენილი: "წარმოსადგენია სრულყოფილი მასალა. სასურველია საპროექტო ობიექტის იერსახის დახვეწა" (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 16.06.2014 წლის N‹/13/12/19 წერილი).

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ზ. ქოჩიაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ზ. ქოჩიაშვილს, ქ. თბილისში, კოსტავას I გას. N1/კოსტავას I შეს. N1–ში მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.